ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში

2019 წლის 6 და 7 მარტს სტუ–ს მასწავლებელტა პროფესიული გადამზადების ცენტრში (სტუ–ს 1 კორპუსი 227 აუდიტორია) 16 საათზე ჩატარდება ტრენინგი: **„ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის“.**

ტრეინერები:

ასოც. პროფ. დალი სეხნიაშვილი (საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი)

ასოც. პროფ. ნათია ქოჩლაძე (არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი; ინტერიერის და დიზაინის დეპარტამენტი)

ანოტაცია

ვიდეო ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სასწავლო რესურსად იქცა როგორც online-სწავლაში, ასევე ტრადიციულ საკლასო ოთახშიც, რადგანაც აუდიოვიზუალური მასალა რთულ ინფორმაციას უფრო დასამახსოვრებელს ხდის. პედაგოგიური სტრატეგიები, მაგალითად ამობრუნებული კლასი (Flipped Classroom), ან ციფრული ხელსაწყოების- ინტერაქტიული დაფის, ტაბლეტის, მობილური ტელეფონის - გამოყენება სწავლისადმი ახლებური მიდგომის განვითარებას უწყობს ხელს და ზრდის სტუდენტების ჩართულობას. შეუძლებელი იქნება უმაღლესი განათლების ზრდადი მოთხოვნების დაკმაყოფილება მხოლოდ სწავლების ტრადიციულ მეთოდებზე დაყრდნობით.

კურსში განხილულია თუ როგორ გამოვიყენოთ ვიდეო სწავლება -სწავლაში, როგორც აუდიტორიაში, ასევე მის გარეთ, აღწერილია ვიდეოს გამოყენების მიზნები, მოყვანილია ვიდეოსწავლების უპირატესობები. ასევე განხილულია პორტუგალიის პორტოს უნივერსიტეტის გამოცდილება ვიდეო-სწავლებაში.